

2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან მობილობის შესახებ

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან ყველა საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე (www.students.ege.ge) რეგისტრაციის შემდეგ (2018 წლის 25 ივლისიდან 30 აგვისტოს ჩათვლით) საბუთები უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018 წლის 31 აგვისტოდან 7 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10⁰⁰ საათიდან 16⁰⁰ საათამდე ყოველ დღე შაბათ-კვირის ჩათვლით, მისამართზე: თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი N 264;

მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სამხედრო მიწერის მოწმობის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის).
4. პირად საქმეში არსებული დოკუმენტების დამოწმებული ასლები:
 - 3.1. პირველადი ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
 - 3.2. პირად საქმეში არსებული ყველა ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
 - 3.3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
 - 3.4.
 - საბაკალავრო პროგრამაზე გადმოსვლის მსურველმა სრული ზოგადი განათლების ატესტატის ასლი;
 - სამაგისტრო პროგრამაზე გადმოსვლის მსურველმა ბაკალავრის დიპლომის ასლი
 - სადოქტორო პროგრამაზე გადმოსვლის მსურველმა მაგისტრის დიპლომის ასლი;

შენიშვნა: დოქტორანტურაში მობილობის წესით მსურველთა ჩარიცხვა ხდება სტუ-ის დოქტორანტურის დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად საფაკულტეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

- მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს განცხადებით და საჭირო თანდართული დოკუმენტაციით, კარგავს აღნიშნულ ფაკულტეტზე/პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.
- მობილობის მსურველმა, რომელიც გაეცნობა შედარების აქტს და წერილობით თანხმობას განაცხადებს სტუ-ში მობილობით გადმოსვლაზე ადმინისტრაციული და ფინანსური ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა წარმოადგინოს ერთი წლის სწავლის საფასურის, მინიმუმ 1/2-ის (1125ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.